სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

რექტორის #40-20 ბრძანებით; 03.03.2020

განახლებული რედაქციით დამტკიცებულია:

რექტორის #59-21 ბრძანებით; 06.04.2021

რექტორის #186-22 ბრძანებით; 27.09.2022

რექტორის #80-23 ბრძანებით; 29.03.2023

რექტორის #152-24 ბრძანებით; 29.10.2024

პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და პლაგიატზე რეაგირების წესი

თბილისი

2024

მუხლის 1. ზოგადი დებულებები

1. პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და პლაგიატზე რეაგირების წესის (შემდეგში - „წესი”) მიზანია, ხელი შეუწყოს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სამეცნიერო და აკადემიურ საქმიანობას და დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმები.
2. ამ წესის მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებზე, ასევე ნებისმიერ პირზე, რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის ეგიდით ჩატარებულ სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში ან აქვეყნებს ნაშრომს უნივერსიტეტის გამოცემებში.

მუხლი 2. პლაგიატის ფორმები

1. პირდაპირი პლაგიატი არის სხვისი ნამუშევრის (იდეა, ნაწერი, გამოსახულება, გრაფიკი თუ მონაცემი) მითვისება ავტორის მითითების გარეშე.
2. პარაფრაზირებული პლაგიატი არის სხვისი მოსაზრებების პარაფრაზი ავტორის ერთმნიშვნელოვანი მითითების გარეშე. პარაფრაზირებულ პლაგიატად მიიჩნევა პარაფრაზირებისას ავტორის სიტყვების უმნიშვნელო ცვლილება, რაც ავტორობის საკითხის ბუნდოვანებას იწვევს.
3. მოზაიკური პლაგიატი არის სხვადასხვა წყაროდან აღებული მოსაზრებები, რომლებიც ისეა გაერთიანებული, რომ ცალკეული ავტორები მითითებული არ არის.
4. უნებლიე პლაგიატი გულისხმობს არასწორ ციტირებას, როდესაც ავტორების ან წყაროების მითითებისას მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამორჩენილი ან არეულია.
5. თვითპლაგიატი არის ერთი და იმავე ნაშრომის ან ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილების ორჯერ ან მეტჯერ წარდგენა/გამოქვეყნება საკუთარი ნაშრომის ციტირების ან შესაბამისი მითითებისა და უფლების მოპოვების გარეშე.
6. თარგმნითია პლაგიატი, როდესაც უცხოენოვანი წყაროდან ტექსტის ან ტექსტის ნაწილები თარგმნილია უცვლელად ან/და უმნიშვნელო ცვლილებებით არის გადმოტანილი ნაშრომში და არ არის შესაბამისი წესით დამოწმებული წყარო;
7. სტრუქტურის პლაგიატის შემთხვევაა, როდესაც სხვისი ნაშრომის სტრუქტურა (მთლიანი ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი), უცვლელად არის გადმოტანილი საკუთარ ნაშრომში;
8. არაკეთილსინდისიერი კოლაბორაცია, როდესაც ჯგუფურად შესრულებულ ნაშრომში მომუშავე ჯგუფის წევრების მიერ გაწეული სამუშაო არ არის სათანადოდ აღნიშნული ნაშრომში; ასევე არ არის მოხსენიებული და აღიარებული ყველა ის დახმარება (კონსულტაცია, რეკომენდაცია, რჩევა და ა.შ.), რომელმაც ხელი შეუწყო ავტორის მუშაობას;

მუხლი 3. პლაგიატის შესახებ ინფორმირება და მისი პრევენცია

1. პლაგიატის შესახებ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ინფორმირება ხდება საორიენტაციო შეხვედრებით და აღნიშნული წესის მეშვეობით,

რომელიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. პლაგიატის პრევენციის მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამა (strikeplagiarism), რომლის საშუალებითაც ხდება საკვალიფიკაციო ნაშრომების (საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი, სადისერტაციო ნაშრომი და ა.შ.), ასევე უნივერსიტეტის აფილაციით გამოქვეყნების მსურველთა ნაშრომების პლაგიატზე შემოწმება.

2. სტუდენტები პლაგიატის შესახებ ინფორმირებულები არიან ამ წესის, „სტუდენტთა ქცევის კოდექსის", „სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესის" და „სამაგისტრო პროექტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესის" მეშვეობით. უნივერსიტეტში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინფორმირების მიზნით იმართება საორიენტაციო შეხვედრები.
3. პლაგიატის პრევენციის მიზნით, უნივერსიტეტში ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო კურსებს, რომლებიც მოიცავს აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხების შესწავლას. სწავლების პირველივე წლიდან სტუდენტებს ეძლევათ წერითი დავალებები (რეფერატი, პრეზენტაცია, ესსე), რაც სტუდენტებს წერისა და კვლევის უნარ-ჩვევებს უვითარებს და ამავდროულად, ეთიკურ და პასუხისმგებლობიან დამოკიდებულებას უყალიბებს სხვათა ინტელექტუალური საკუთრების მიმართ.
4. უნივერსიტეტის გამოცემებში გამოქვეყნების მსურველებს პლაგიატის პრევენციის წესების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ შესაბამისი გამოცემის ან ღონისძიების დებულებით, ასევე ნაშრომების მიღების თაობაზე განცხადების წარდგენის წესის მეშვეობით.

მუხლი 4. პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმები

პლაგიატის აღმოჩენის ძირითადი მექანიზმებია: ლექტორის, ნაშრომის ხელმძღვანელის, რეცენზენტის დასკვნები და ანტიპლაგიატის სისტემა.

მუხლი 5. ანტიპლაგიატის ელექტრონული სისტემა

1. უნივერსიტეტში მოქმედებს ელექტრონული პროგრამა - "StrikePlagiarism.com".
2. ანტიპლაგიატის ელექტრონული სისტემა არის საინფორმაციო ტექნოლოგიური, ელექტრონული ინსტრუმენტი, რომელიც ტექნიკური დოკუმენტების ავთენტურობას ადგენს. სისტემურად იგი უზრუნველყოფს, მოიძიოს და მოახდინოს სხვა წყაროდან ამოღებული ინფორმაციის იდენტიფიცირება. ხელს უწყობს ტექსტის შეფასებას და უთითებს მათ მდებარეობას. ანტიპლაგიატის სისტემა ავლენს გასაანალიზებელ დოკუმენტში იმ იდენტურ ფრაგმენტებს, რომლებიც განთავსებულია სხვადასხვა მონაცემთა ბაზაში, ინტერნეტ რესურსებში.
3. ანტიპლაგიატის სისტემა ადარებს ყველა ატვირთულ დოკუმენტს შემდეგ მონაცემთა ბაზების წყაროებთან:

3.1. ანტიპლაგიატის ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემები და დოკუმენტები;
3.2. უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზაში არსებული დოკუმენტები;
3.3. სხვა უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზაში არსებული დოკუმენტები;
3.4. ინტერნეტრესურსები;
3.5. RefBooks-ის მონაცემთა ბაზა;
3.6. სამართლებრივ მონაცემთა ბაზა.

4. StrikePlagiarism.com-ის სისტემაში ნაშრომის შემოწმება ხდება უნივერსიტეტის მიერ (როგორც წესი, დეკანატების ან აკადემიური კვლევის დაგეგმვისა და განვითარების მენეჯერის მიერ) სპეციალურად შექმნილი ანგარიშების საშუალებით.
5. შესაბამისი წესით დამოწმებული პირდაპირი ციტატების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი ნაშრომის 10%-ს. დაუმოწმებელი ტექსტის არსებობა ნაშრომში არ დაიშვება (0%). ნაშრომში სამართლებრივი აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ტექსტის გამოყენების მოცულობა, შესაბამისი დამოწმებით, არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი ნაშრომის 20%-ს. ამ სტანდარტის დარღვევით შესრულებული ნაშრომი მიიჩნევა პლაგიატად.

მუხლი 6. საკვალიფიკაციო ნაშრომების შემოწმება

1. ნაშრომი ანტიპლაგიატის ელექტრონულ სისტემაში მისი რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში მიღებული ელექტრონული დასკვნა ეგზავნება ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელსა და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, რომლებიც ერთობლივად განიხილავენ და აფასებენ დასკვნას. შედეგები რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში ეცნობება სტუდენტს.
2. სამაგისტრო ნაშრომსა/პროექტსა და სადისერტაციო ნაშრომში პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, ნაშრომი არ ფასდება დადებითი ქულით, სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა ნაშრომი წარმოადგინოს მომდევნო სემესტრში, ხოლო საბაკალავრო ნაშრომში/პროექტში პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა განახლებული ნაშრომი წარმოადგინოს იმავე სემესტრში, ფაკულტეტის მიერ ამისათვის განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს ძირითადი გამოცდების დაწყებამდე. აღნიშნული საკითხი დეტალურად/განსხვავებულად შეიძლება მოწესრიგებული იყოს შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებით (მაგალითად: დოქტორანტურის დებულება, სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, შესრულების და შეფასების წესი).
3. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ნაშრომზე მიღებულ ელექტრონულ დასკვნას განიხილავს ფაკულტეტის დეკანი უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსთან და პრორექტორთან ერთად. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, უნივერსიტეტი მხარს არ დაუჭერს ნაშრომის

გამოქვეყნებას. ნაშრომში პლაგიატის აღმოჩენა არის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი.

4. ანტიპლაგიატის ელექტრონულ სისტემაში კვლევითი სტატია, პუბლიკაცია, მოხსენება, წიგნი და ა.შ. აიტვირთება მის გამოქვეყნებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

მუხლი 7. აპელაცია

1. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში პირს უფლება აქვს შედეგების გამოქვეყნებიდან/შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აპელაციით მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს.
2. ფაკულტეტის დეკანი ფაკულტეტის საბჭოსთან ერთად იხილავს აპელაციას და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს 10 დღის ვადაში.
3. აპელაციის განხილვა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ.